



## მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016

**17 სექტემბერს 11:00 საათზე** ექსპო ჯორჯიას პავილიონში სამეცნიერო ფესტივალი გაიხსნება. ამ ფესტივალში კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად არის ჩართული და ერთი კვირის განმავლობაში ბევრ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან აქტივობებს გთავაზობთ.

გახსნის დღეს პავილიონში წარმოდგენილი იქნება ცენტრში დაცული კოლექციის ამსახველი ბანერები. გარდა ამისა ხელნაწერთა ცენტრის რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორიის თანამშრომლები დაინტერესებულ მნახველებს ჩაუტარებენ პრაქტიკულ ვორქშოპს ქაღალდის დამზადებისა და რესტავრაციის პროცესის შესახებ. ფესტივალზე მისულები შეიტყობენ თუ როგორ ამზადდებდნენ ძველად შუასაუკუნეებში ქაღალდს, რა მეთოდებით იყო შესაძლებელი დაზიანებული ქაღალდის აღდგენა და თავადაც შეძლებენ ამ პროცესებში მონაწილეობის მიღებას. გარდა ამისა მნახველებს შეეძლებათ სამეცნიერო-პოპულარული ლექციების მოსმენა სხვადასხვა თემატიკაზე.

**19 სექტემბერს 14:00 საათზე** ფესტივალის ფარგლებში ხელნაწერთა ცენტრი გახსნის გამოფენას ეროვნულ მუზეუმში (შოთა რუსთაველის გამზ. 3). გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ორიგინალი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები. დამთვალიერებელს საშუალება ექნება სხვადასხვა პერიოდში გადაწერილი რამდენიმე უნიკალური ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი იხილოს. გარდა ამისა იგეგმება სალექციო ციკლის ჩატარება. ლექციების ძირითადი თემატიკა იქნება ვეფხისტყაოსანი. პოემა განხილული იქნება საინტერესო და განსხვავებული რაკურსით. გარკვეულ თემებზე ლექციებს წაიკითხავენ ისტორიკოსი, ფიზიკოსი, ფილოლოგი და ასტრონომი, რაც მსმენელისთვის უფრო საინტერესოს და განსხვავებულს გახდის ლექციის საახეს. ლექციები მუზეუმში ხუთი დღის განმავლობაში გაგრძელდება დასწრება ნებისმიერი მსურველისთვისაა შესაძლებელი.

**21 სექტემბერს** კი ხელნაწერთა ცენტრის ძველ შენობაში (ალექსიძის 1/3) **15:00 საათზე** გაიხსნება კიდევ ერთი საინტერესო გამოფენა, რომელიც ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155 წლის გასვლას ეძღვნება. გამოფენაზე წამოდგენილი იქნება ვაჟა-ფშაველას ორიგინალი საარქივო მასალა: მისი პირადი წერილები, პოემები, ლექსები, სხვადასხვა ჩანაწერები ა.შ. მაგალითად ისეთი ყველასათვის ნაცნობი პოემების ორიგინალები როგორცაა „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა. დამთვალიერებელი იხილავს თუ როგორი კალიგრაფია ჰქონდა ვაჟა-ფშაველას და როგორ ქმნიდა უნიკალურ ნამუშევრებს. გარდა გამოფენისა სკოლის მოსწავლეებისათვის დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამა „არქივისტი“, რომელიც მიზნად ისახავს გააცნოს მოსწავლეებს საარქივო საქმის თავისებურებები, დოკუმენტურ წყაროებთან მუშაობის სხვადასხვა ასპექტები. ასევე გამოფენის ფარგლებში ჩატარდება სამეცნიერო-პოპულარული ლექციები. გამოფენა სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ფესტივალის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით იმართება რომელსაც ყოველწლიური სახე მიეცა. მისი მიზანია სამეცნიერო სფეროს გავითარება და ახალგაზრდა თაობის დაინტერესება.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან  
ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

[mariamjbidze@gmail.com](mailto:mariamjbidze@gmail.com)

598 175 777

577 977 199

თამარ გურგენიძე

[friends@manuscript.ac.ge](mailto:friends@manuscript.ac.ge)

599 899 628

